

83

17.06

აკადემია

თანა

ახალი ასტაბი

რიგი VIII

ვაწვა ზოდოგა

თბილისი

Тип. Грузинского Издательства. | სკოლა ქართველთა ამხანაგობისა.



ଶର୍ମିଷ୍ଠାନ

აკადემიური

„თქან“

ახალი ანბანი

36445

სხვებიცა შენის მიხედვით
გამრავლდებიან თანდათან
შემუღაის წელუღაის მეურნეობა...
შეგრძნება ისტაგლი კერ ეს: „თ“.

აკად.

ფილი VIII

პატარა ყოფილობა

სამეფო სულდგმულთა (ხერხემლიანი ცხოველები)


თბილისი



Дозволено ценз. Тифлисъ, 11 февраля 1893 г.

«თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვა-
რიშვილობა».


Вხენი და ცხვარი შებაასლნენ. ცხე-
ნი ამბობდა: „მთელ ჩემ ნათესაობა-
ში მე პირველი ვარ; ვერც ყოვლის
ამტანი ვირი, ვერც ჭრელ-ქათიბა ჯილფი



ნახატი 1. ცხენი ძრაბული

ვერ შემეცრებიან, შენ-კი არა გვევარ,
ყველაზე დაბრიყვებული და საცოდავი
რო ხარო“.

ცხვარმა უპასუხა: „შენ, ვირი და ჯილ-
ფი (იხ. ნხტ. 1, 2, 3), — აი მთელი შენი ნა-
თესაობა. ქაჩაჩანი
ცხოველი მე სხვა
არ გამიგონია—
და მაგათში პირ-
ველობით რა თა-
ვი მოგაქვსო?
სულ სხვაა ჩვენი
საქმე. მე რო მო-



ნახატი 2. ვირი.

გიყვე ჩვენი ნათე-
საობის ჩამოთვ-
ლასა — ყბები მო-
მელლება — ისე
ბევრნი და ბევრ-
ნაირნი ვართ. აი
თუნდა მე, ირემი
და აქლემი. თუმ-
ცა ჩვენ ყველა-
ნი ვიცოხნებით,



თუმცა ჩვენ ყველას თითო ფეხზედ ორ-
ორი ჩლიქი გვაქვს და ყველანი მცონევა
ნათესაობასაგან ვეკუთვნით, მაგრამ განსხვა-
ვებაც დიდი გვაქვს. მე და ირემს რქები

ნახატი 3.
ჩვენი და ბევრნი
არ გამიგონია—
და მაგათში პირ-
ველობით რა თა-
ვი მოგაქვსო?
სულ სხვაა ჩვენი
საქმე. მე რო მო-

გვაქვს და აქლემს-კი არა. თითონ ჩემ
რქასა და ირმისასაც გარჩევა აქვს: ჩემი
რქა ფუყეა, ირ-
მისა-კი კვრივი.
აი ამისთვის ჩემ
ნათესაობას სამ
ჯგუფად ჰყო-
ფენ: ფუყერქი-
ანნი, კვრივრქი-
ანნი და ურქო-
ნი. აბა ახლა
თვალი გადაავ-




ნახტი 4. ცნობილი ჩემებული.



ნახტი 5. თსა ქაშიარისა. ამ თსის ბალინის აბეთებენ მგრივას
ქაშიარის ქარგილებს (შალებს).

ლე თითო
ჯგუფში
რამდენი
ვართ,
ფუყერქი-
ანნი (იხ.
ნხტ. 4, 5,
6, 7 და 8):
მე, თხა, ხა-
რი, კამეჩი..



| ნახეთი 6. სარი ჩვენებული.




| ნახეთი 7. კამენი ჩვენებული.

დომბა ამე-
რიკისაანუ
ბიზონი.
მტკიცე
რქიანნი
(იხ. ნხტ.
9, 10 და
11): ლოსი,
ჩრდილოე-
თის ირემი
და ჩვენი
ირემი.


ურქონი (იხ. ნხტ.
12 და 13): აქლემი,
დუკატი და სხვანი.
ამათვე მოსდევს ბეჭა-
ნია (იხ. ნხტ 14).

ეს ხო ყველასა-
გან გარჩეულია. თა-
ვი და ტანი შენსას
უგავს, კისერი და
მხრები აქლემს, ყუ-
რები ხარს, კუდი
| ვირს, ფეხები ჯეი-

რანს და ტყავი ვეფხს. აი ესე ბევრ-
ნაირი ვართ ჩვენს
ნათესაობაში და
რასაკვირველია,
რო მე ამათში ბევ-
რი მჯობდეს? შენ-
კი ნიახურის ფო-
ჩივით თავი მო-
გაქვს: სულ სამნი



ნახატი 8. ღომის ძეგლისას ანუ
ბიზონი, გადაუდინებელი ნადირია;
წერილი არ იცის.



ნახატი 9. ჩრდილოეთის იუჟი; შემუღლია შარხილში.

ვართ და ამ სამში პირველი მე ვარო...“.
მოჰკურა ლორმა ამათ ლაპარაკს ყური,

წამოდგა წინ (იხ. ნხტ. 15) ღრუტუნ-
ღრუტუნით და მოჰყვა:



„მართალია, ცხვა-
რო, მე შენსაებ
გვარ მრავალი არა
ვარ, მაგრამ ძა-
ლით, ჭკვით და სი-
დიდით ჩემს ნათე-
საობასთან ყველას
ფეხი მოგიცვდე-
ბათ. არ ვიცი, გი-
ნახავს თუ არა


| ნახატი 10. თავი დათანის. გადაეჭილა
ნადირად; იცის ჩრდილო ქამანებში |
სპილო (იხ. ნხტ. 16)? დამერწმუნე, მაგ
თავ-მომწონე ცხენმა თუ ისა
ნახა, შიშით სული ფეხებში
გაეპარება. ვაი იმისი ბრა-
ლი, ვისაც-კი მოსდებს თა-

ნახატი 11. იცის



ვის ღვედივით ხორთუმს,—რკინის გვერ-


დებიც რო ჰქონდეს, ერთი შემოკვრით შე-



მოალეწავს;
თორე მარ-
ტორქამა და
ბეჭემოტმა
(იხ. ნხტ. 17
და 18) რაღა
მოგახსენოს!
არცა-რა ისი-
ნი ჩამოპრჩე-
ბიან ვისმე
უკან. მარტო
მე ვარ დაბ-

ნახეთი 12. აქლექი. დიდხასის სიძლეების
უსმელა-უქმელად; დაუგდასებულად უდინაა
ადგილებში მოგზაურობისთვის.

ნახეთი 13. დუბატი. აქერიასის ტეთებები
ლუანა, ქატელია იტის ჩინებულია; აქერია
ქატელიას თავის მწერების ქატელია.



რიცვებული, თორე მთელს ცხოველებში
ჩემ ნათესაობას ტოლი და სწორი არ
გამოუვა... რაო, ცხენო, იქ-ნება არა
გჯერა, რომ ესენი სულ ჩემი ნათე-
სავები არი-
დე: ჩვენ
დინგი
ლები, დიდ-
თითო ფეხ-
თი ჩლიქი. —




ნახატი 14. ბეჭნია. ცხელი ქავენის პირუტების
სიმძღვა... უკედა ცხაველს სჭარბას.


ან?! აბა შემოგვხე-
ყვალას გრძელი
გვაქვს, პატარა თვა-
რონი ეშვები და
ზედაც ოთხი ან ხუ-
ჩვენ შევაღენთ
ჩლიქ. მრავა-
ლა ნათესა-
ობასათ”...

ცხენმა
უგდო ყუ-
რიამათ ლა-
პარაკს, უგ-
დო, შეპრ-
ცხვა თა-
ვისი უხე-
ირო ნა-
თესავებისა
და პასუხად ასე უთხრა: „მჯერა, მჯე-

რა ეგ ოქეენი ლაპა-
რაკი; მჯერა, რომ
ცხვარს აუარებელი ნა-
თესაობა ჰყავს, და შენ
კიდევ — სულ დიდებუ-
ლი და სახელოვანი,
მაგრამ ერთი ეს შემატ



ნახატი 15. ღორი.




ნახატი 16. ნილო.

დია გვარი შვილობაო“, — და მოარიდათ
ყური.

მე ამ სეირს შორიდგან ვუყურებდი და
გუნებაში მეცინებოდა. ისეთი გახურებუ-

ყობინეთ,
— ოქვენ
თითონ რა
ჰყრიხართ,
ოქვე უბე-
ღურნო?

რად გავი-
წყდებათ,
რომ „თუ
კაცი თი-
თონ არ
არის, ცუ-



ნახევი 17. მარტორქი. დიდი დონიერი ჰა-
რულშია; ოცის ცხელ ძაღლებში; ძეგლი ერთ-
ად, ზუგს თარი.

ლი ბაასი
და ცილო-
ბა გამარ-
თეს, თით-
ქო მართ-
ლა დიდი
განსხვავება
რამ ჰქონ-
დეთ ერთ-
მანეთში.

ერთსაც ჩლიქი აქვს ფეხებზედ, მეორესაც
და მესამესაც, და სამივ
ერთ საგვარეულოს შე-
ადგენენ; ამასა ჰქვიან
საგვარეულო ჩლიქიანთა.
გარჩევა ისა აქვთ მხო-
ლოდ, რომ ერთსა აქვს
ერთი ჩლიქი, მეორეს-
ორი და მესამეს-ბევრი.



ნახევი 18 ჰეჭემოტი. დიდი დონიერი პირუტეშ-
ვია; ოცის ცხელ ქვერცხებში; საცხოვრის მდინარეებშიადა
დოდესაც ჩელებთზედ გა-
მოდის, დიდი ნაშია შოაქვს.

ამისაგამო ჩლიქიანთა საგვარეულო გა-
ნიყოფება სამ ნათესაობად: ქსჩჩიანთა (ერთ
ჩლიქიანნი), მწოხნავთა (ორ ჩლიქიანნი)
და მრავალ ჩლიქიანთა.


კლანჭიანთა სავარეულო

Qეტის მეტი ნებიერია ჩემი ციცუნია; წავა-მოვა და უთუოდ კალთა-ში ჩამიჯდება და მექლასუნება. თუ

მუთაქა ან ბალიში მო-
ახელა, ზედ წამოიტ-
ყლარჭება — რბილად
წოლა ძლიერ უყვარს.
წევს, თვალებსა ჰკრუ-
ტავს და ხრუტუნებს გა-
ნუწყვეტლივ. იქნება
გვონია, რო სძინავს?



ნახტი 19. კატი.



ნახტი 20. ლორი. ოცის ცხელ ქაშუნება.

სრულები-
თაცარა. აბა
ამ დროს
თავმაგაფა-
ჩუნოს საღ-
მე, იმავ წამს
ყურებს აცქ-
ვეტს. წამოი-
წევს ჩუმ-ჩუ-

მაღ და ათვალიერებს. თუ შეამჩნია ჯერ
ნელ-ნელა, ფეხაკ-
რეფით მიიპარება,
მერე მუცელზე
ცოცვით მიუახ-
ლოვდება და ერთ
ადგილს გაინაბე-
ბა. იქნევს კუდს
და გაფაციცებით

| ნახევ. 21. ჯიქი. გეფეზედ უვრთა მეჩ აგდა | ადევნებს აქედგან
და ხდიშია; ჩემნი არ იცის. | თვალსა, — ემზა-

დება, იკ-
რიცება,
ბოლოს
ერთბა-
შად ის-
კუპებს და
დაპბლუ-
ჯავს საწ-
ყალ თა.



| ნახევ. 22. შეძენარი. |

გუნიას კლანჭებში. თაგვი ძან უყვარს ჩემ
ფისუნიას, თუმცა არც ჩიტს (იხ. ნხტ.
19) დაიწუნებს. ერთხელ ტრედიც გა-

მოეხრა იმ საძაგლს. მაგრამ რა ჩემი, რა




ნახტი 23. დებეკი.

სხვისი, ყველა კატა
ნანაღირევი უყ-
ვარს. მთელი
იმისი ნათესაო-
ბა: (იხ. ნეტ.


20 და 21)

ლომი, ვეფხი
და სხვანი, სულ



ნახტი 24. ბორჯი.


ტაციობით ირჩენენ თავსა.



ნახევ. 25. ჟღადა.

ტაციობითვე ირჩენს თავს აგრეთვე ძალ-
ლის ნათესაობა
(იხ. ნხტ. 22, 23, 24,
25, 26, 27, 28, 29):
მგელი, მელა, აფთა-
რი, დათვი, კვერ-
ნა, ჯედოფალა...
ამისთვის ამ
ორივე ნათესაო-
ბას ვეძახით მტა-

რებელ ცხოვე-
ლებს. მტაცებე-
ლი ჰქვიანთ აგ-
რეთვე ძლარბსა
და თხუნელას
(იხ. ნხტ. 30, 31),



ნახევ. 26. აუთარი,
ძშის ემანის შემდე-
ბაცს. შედალია და შეიშეძა; დეველებებს დაშალაშობით და დაჭა-
უბებს შეავრცა.

თუმცა ესენი მხოლოდ მწერებს იჭერენ
და იმითი იკვებებიან.

აბა მითხარი ახლა: რომელ ნათესაობას
ეყუთვნიან ეს ცხოველები, — ქაჩაჩიანს,

მცოხნავს თუ ჩლიქმრავალას? არც ერთს.



ნახტ. 27. დათგე.

გაშ ამათ რაღამდენი ჩლიქი აქვთ თი-
თო ფეხზედ? არც ერთი. არ გაგისინჯია

ნახტ. 28. ბეჭედის. ძე. სი. ბეჭე-
ძი და და ფუსკობე.



განათათი კატისა ან ძალლისა? იმათ ჩლი-




ქების მაგიერ
ჭლანჭები (ჭანგე-
ბი) აქვთ ფეხებ-
ზედ. კლანჭები
აქვთ აგრეთვე
თაგვის ნათესაო-
ბას (იხ. ნხტ. 32,
33, 34 და 35):

ნახატი 29. დედოფელი. ზემთართულით
ვურს ცხლილობს, — თავშლის ღურა
სდება.

თაგვს, თრითი-
ნას, კურდლელს,

წავს... ამათ წინა
კბილები ძალიან
გრძელი აქვთ
და თან მუდამ
ეზრდებათ კი-
დეცა. ამიტომ
ეს ცხოველები
ყოველთვის უნდა



ნახატი 30. მღვერი. |
ლრონიდნენ რასმე,
რომ, ვინიცობაა, კბი-
ლები ძალიან არ და-
ეზარდოთ. ჰლრონი-

ნახატი 31. თხუნელი. სცხოვრობს მიწაში; თვალები ქინძისთან
გასოდექნი ძებს; წინა ფეხი გმობრუნებული აქვს, ნინებს მი-
უგდებს; ძალიან სისირგმებლი ცხოველია.

ან ხის ქერქს, ფესვებს, ძირებს, ერთის
 სიტყვით, რაც-კი მოჰ
 ხვდებათ. ამისთვის ამ
 ნათესაობასა ჰქვიან
 მდურდნელთა ნითესაობა.


| ნახტო 32. თბილი. |

ამათ მოსდევს კიდევ




| ნახტო 33: თრთონა. |

ორი სხვა ნათესაობა,—გულოსანთა და
 კბილნაკლებთა. თუმცა არც ერთი ამ ნათე-



ნახატი 34. წევი. თითებსა და თაუ-
თებს შედ ბანდი აქვთ გამჭულია;
წევალში ცურვა ნინებული იცის.

საობის ცხოველიარიცის
ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ,



ნახატი 35. კურდეჯლი.




ნახატი 36. კენგურუ. იცის აპეტიტულიას ქმნებში. კუდი და
უბანი ფინები ღოთხიერი აქვთ, წინა ფეხები ძალიას სუსტებია;
აქცის სიმაღლე.

მოდი, ერთი თვალი
ამათაც გადავავლოთ,
გულს ნუ დავაკ-
ლებთ, ამათაც ხო
კლანჭები აქვთ ფე-
ხებზედ. გუდოსანთა
ნათესაობას ეკუთვნი-
ან (იხ. ნხტ. 36
და 37): კენგუ-
რუ, ორმუცელა და
სხვანი. ამათ ყველას
მუცელთანა აქვთ

ამოსული კიდევ ერთი პირი ტყავი, თითქო
გულა ჰქონდეთ ქვეშილგან აკრულიო. შიგ-




ნახატი 37. არა უცნოა. გილობრივი და დენია.
ცხოველი; ცეცული; ცხოველი.




ნახატი 38. მეჭიდნებისა. იმიმისა ჭიათუმალით; წინა ფენები
სიარულში მოპარებული და დატესტირებული შიგნითა ძღვის
უძრუნებული.

ნიღან, გუდაში აქვთ ძუძუები და ლააჩენენ
თუ არა შვილებს, ჩისხავენ შიგ და ისე
ატარებენ.

კბილნაკლებთა ნათესაობას შეაღვენენ (იხ.
ნხტ. 38, 39, 40, 41): ზანტია, მეჭიანჭველე,



ნახსენი 39. ყანენია იცის ტესლ ქამანები;
სტრიკონის ხელისურ და ნაძღვით ფართი
გადატესია.




აბჯროსანი და
იხვნისკარტა.
ამათ ან სრუ-
ლიად არა აქვთ
კბილები და ან
თუ აქვთ, ისე

ნახსენი 40. აბჯროსანი. ტესლი გარედგან ბატონის მკლეუ-
ბითა აქვთ მოჭედილი, თითქოს ძვლის აბჯრი აცვიათ.

ცოტა და ისე სუსტები, რო სათქმელადაც
არა ღირს.

ყველა ეს ცხოველები შეადგენენ ერთ
ცალკე საგვარეულოს. ამ საგვარეულოს
ვეძახით კლანჭიანთა საგვარეულოს. მაშასა-
დამე, კლანჭიანთა საგვარეულოს ეკუთვნის



ნახატი 41. ისტორიკარეტა. ნახევრის წედ წევალშ. უკარს უდავნა; თითებსა და თითებ შეა ბანდი ასეს გრძელება; ტენი ბალნითა აქტებ შემთხველი და პირის ურაინგლის ჩიტარა უკავნა.

შემდეგი ოთხი ნათესაობა: მტაცებელთა,
მღერღნელთა, გუდოსანთა და კბილნაკ-
ლებთა.

ფრჩილიანნი

Qამოიქეცით, ბიჭებო, გამოიქეცით,
მეზობლიანთას მაიმუნი მოუყვანია-
თო. მოგვძახოდა გზა და გზა ვანო
და თან ჭუდ მოგ-
ლეჯილი გარ-
ბოდა რაც ძალი
და ღონე ჰქონ-
და; ჩვენც იმავ
წამს წამოვიშა-
ლენით და,-აბა
ვინ წინა და ვინ-
უკან, დავედევ-
ნევით ვანოს
კვალ-და-კვალ.

იქ მართლა მაი-
მუნს ათამაშებდ-
ნენ. ერთი თა-



ნახატი 42. პატიანი. იცის მთაბან, კლდიან
ადგილებში; ცუდი ზნის შაიმუნია; ას-
თარსხაბით ერთად უეჭროთ ცხოვრება.
თარი დაირას აბრახუნებდა, მეორეს მაი-
მუნის ჯაჭვი ეჭირა ხელში და იძახოდა: „ახ
მა-ი-მუნ, მა-ი-მუნ, ბე-ბე-რი ქა-ლო მო-დი,


და მაიმუნიც ისე მოდიოდა, თითქოს
მართლა ბებერი დედაკაციაო. ვინ იცის,
რა ოინები არ გააკეთებინეს: ხან კოჭლო-
ბით დაღიოდა, ხან ასკინკილას უვლი-
და, ხან მალაყს გადაღიოდა. ძალიან ეუ-
მაკი რამა ყოფილა; სწორედ აღამიანი-
ვით შეგნება ჰქონია. სახისა და ტანის



ნახატი 42. შიშანზე. უკელაზე შე
| ტარა ჭირვს ადამიანს; მაღადი შევიდი და წენარი ჩაითინდა. |

მოყვანილობითაც ძალიანა ჰგვანებია ადა-
მიანს. ნამეტნავ ხელები,—სწორედ კაცის
ხელები გეგონება.

დიდხანს უყურე იქ იმის თამაშობას და
მერე, შინ რო მოველ, მამასა ვკითხე: მა-
მავ, მაიმუნი რომელ საგვარეულოს-ლა
ეკუთვნის, ჩლიქიანთა თუ კლანჭიანთა მეთ-
ქი? მამამ მიპასუხა: „ეგ არც ერთს ეკუთ-
ვნის, არც მეორეს. მაგას არც ჩლიქები




ნახატი 43. თაგი გთა-
რილადნი. მაღლიანა ჭიგდეს;
დღიმიანს; ტანით უგელდა-
ზედ დაზიან და შეგელდა-
ზედ საშიშა.

ნახატი 44. თაგი თრანდუტან-
დისა. მაღლიანა ჭიგდეს დღიმიანს,
ნაშეცნევ ჰატართაბაში; ტანით
შაშცრობა გთარილდზედ; სცხოვ-
დობს სუმზედ.

აქვს, არც კლანჭები. ხელის თითებზედაცა
და ფეხის თითებზედაც აღამიანსავით ფრჩი-
ლები აქვს. მაგათი საგვარეულო, ცალკე

საგვარეულოა და სახელად ფრჩხილიანთა
საგვარეულო ჰქვიანო.

მაიმუნები ძლიერ ბევრნი და ბევრნაირ-
ნი არიან (იხ. ნხტ. 42, 43, 44, 41, 45):



წახატი 45. ამერიკის შიდომუნები. ეს შიდომუნები შთელ თავის სიცოცხლეს სულ სექაზედ ატარებენ; წევდლი რა სწუუროდეთ, მაშინაც არ ნამოღიან სიღგან: ნამუებალება პუდით სის ტოტს იტ, სადაც წევდლის შეამნევებს და ისე დუშავება დასილევდა.

შიმპანზე, გორილა, ორანღუტანლი, პა-
ვიანი, და სხვანი და სხვანი.

არის კუდიანი, უკუდო, დიდი და პატარა.
მაგათი საგვარეულოც სხვა და სხვა ნათე-
საობიდგან შესდგება, მაგრამ მე ამას არ გა-

მოვეკიდები—ჯერ ეს ჩვენთვის საჭირო არ არის. დაიხსომე მხოლოდ, რო მაიმუნი ყვე-



ნახატი 46. საქართველო. სამეცნიერო ნაგებების არა
უნიკალურ აქტები; ფრთების რო გამჭვიდვა
ეცია; სტრაფილის ტესლ ქმნებები; ობსერვაცია;
აქტების სამარტინო სამეცნიერო ნაკლება.

ლა ცხოველებზედ შეგნებულია. რო-
გორც გონებით, ისე სახის მოყვანილო-
ბით და სანახაობით ძალიანა ჰგავს აღა-
მიანს. ამისთვის ამათი საგვარეულო პირ-
ველია ყველა ცხოველებშიო“.

მოდგმა I

სხლა ჩვენ ვიცით სამი საგვარეულოს
ცხოველები: ჩლიქიანთა, კლანჭიანთა
და ფრჩხილიანთა. ისე გაირჩევა ეს სა-



ნახადეთ 47. ბერძო ნერწებული. ჩატაში გმილა ზურ დარიანებით; იტაცების ქანი დაბივით ქაშავით ცხანებულები; არა ნერწების აგრძელებები გმილა.

მივე საგვარეულო ერთმანერთისაგან, რო ერთის შეხედვითვე შეგვიძლიან გამოვიცნოთ,



თუ რა ცხოველი
რომელ საგვარე-
ულოს ეკუთვ-
ნის. თუმცა ესე
ძალიან განსხვავ-
დებიან ერთი მე-
ორისაგან, მაგ-
რამ მსგავსებაც
დიდი აქვთ ერთ-

ნახეფი 48. არა ფერდი ფერი მანერთში: ყვე-
ბელია, მძლიან დაძმუ; ტრიუ-
ლება ჩემი და დანარჩენს.
მანერთში: ყვე-
ლანი შემოსილ-
ნი არიან ბალნით; ყველანი აჩენენ
ცოცხალ შვილებს და აწოებენ ძუ-
ძუს. ამისათვის ეს სამივე საგვარეუ-
ლო ჩაითვლება ერთ მოდგმის ცხო-
ველებად და სახელიც ზედ გამოჭ-
რილი იქმნება — „მოდგმა მაწოვართა ცხო-
ველებისა.“

ლამურა ხო ფრინველია




ართალია ლამურამ სიარული არ იცის
და ფრენაში ძალიან გამოქნილია, მაგ-
რამ რაც დაფრინავს ყველა ხო ფრინ-



ნახატი 49. ლა-
მურა ბეჭედი.


ველი არარის! ბუზიც-კი დაფრინავს და ფუტ-
კარიც, მაგრამ ჩვენ იმათ ფრინველს როდი



ნახატი 50. ქარა.

ვეძახით. აბა კარგა გასინჯე ლამურა (იხ.
ნხტ. 49): ტანზე გრძელ-გრძელი ხუჭუჭი ბა-
ლანი ასხია, პირში აღმასივით კბილები

უსხედს და მკერდზედაც პატარა ძუძუები
აქვს. სჩანს, ღამურაც მაწოვარი ცხოველი




ნახატი 51. ორბი. არწივის ქედ დაღია; იტაცებს და სჭირდება, არნებს და სხვა შოშცით შავოვარ ცხაგებლებს.

ყოფილა. ეს ასეც არის — ღამურა ნამდვი-




ნახატი 52. ობი. ბორცვის ტანარის ანუ აქე
არწივი ჰეთის. ბეჭედურ საბაზე ქედ
რაღ დაღია და ღანიერი.

ლი მაწოვარი ცხოველია, მაგრამ არც ერთ



ნახავთ 53. სიმონის ნიტი. უშებებები ცოტა
ქარგიდანა; ზურგუ და ბეჭელა, აქებები ბ და კლა-
ბ რებული ლავაგანი ბუმბულები; წელები არ იცის.



ნახავთ 54. ოუ.

ნახავთ 55. პაიუში. ბაიუშის სალები
ცუდი სისკელი აქებ და გარდნილი, მაგ-
რა სისარგებლა ფრინველია; იქნა
და სუამის მინდვრის თაგვებს.

ჩვენ ნაცნობ საგვარეულოს არ ეყუთვნის. ღამურა თავისი (იხ. ნხტ. 46) ნათესაობით შეადგენს ერთ საკუთარ სა-




ნახსენი 56. პატარა ქალაქი და დასახური თუმთავურება; და
ნარაქ ადგილის ერთგვარი და მართვის მტკიცით დაწესდება;
ცხავების ადგილის ერთგვარი უსაფრთხო უნიტარული კულტურა
და მართვის მტკიცით დაწესდება.


გვარეულოს და სახელად მკლავ-ფრთიანთა
საგვარეულო ეწოდება.

ღამურა რო ფრინველი ყოფილიყო, მა-

შინ ხო იმასაც პირის მაგიერ ნისკარტია ეჭ-
ნებოდა და ტანიც ბუმბულით შემოსილი.
ისიც იმათსავით მაგარ ნაჭუჭიან გვერცხებს
დასდებდა და მერე იმ გვერცხებიდგან შეი-



ნახატი 57. მერცხება.



ნახატი 58. ჩიტი ბეღურა.


ჭებს გამოსხევავდა. ესეა სწორედ ყველა
ფრინველი და ამითი გაირჩევიან მაწო-
ვართაგან. ფრინველები შეადგენენ მეორე
მოდგმას ცხოველებისას- „მოდგმა ფრინველ-
თა.“ ამათი მოდგმაც, როგორც მაწოვართა
ცხოველებისა, შესდგება რამდენიმე სა-

გვარეულოდგან და თითო საგვარეულოც
რამდენიმე ნათესაობიდგან. რადგან ყველა




ნახატი 59. ჰეპელინიტი
(კოლაბრი). ეველი წირზედ
შეატანა; შეტის შეფი შარდი
და შეუბუქი ფარინგელია; სის
ლამძზით სო გერც სოსის
ევლი შემდებარება და გერც ლა
შაზი ჭრელი ჰეპელა; იცის
ცხვრ ქვეუჩქმა.

ნათესაობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს,



ნახატი 60. ყინა ბურბულია,
უკანა შაშვი.




ნახატი 61. მწევრი.


დავიხსომოთ მარტო ამათი საგვარეუ-
ლონი.

1) საგვარეულო მტაცებელთა (იხ. ნხტ. 47,

50, 51, 52, 54, 55) — ზოგი ამათვანი დლის
ფრინველია: ქერა, ორბი, სვავი, სვავი ამერი-
კისა ანუ კონდორი... ზოგი კიდე ღამისა:



ნახატი 62. ქათაში დედალისძალი.




ნახატი 63. ხოხობი


ბუ, ბაიყუში, ჭოტი, ოლოლი... ყველა ამათ
ნისკარტი აქვთ ძლიერ მოკაუჩქებული და

ბრჭყალები მეტის მეტი ბასრი და მოხ-
რილი.

2) საგვარეულო თუთუუშუმთა (იხ. ნხტ.
48, 56) — არა, კაკაღუ... ამ საგვა-
რეულოს სულ გონიერი ფრინველები



ნახტი 64. ციცი.




ნახტი 65. ბაზა ნენებური.



ნახტი 66. ინგი ნენებური.

ეკუთვნიან. აქვსთ სქელი ხორციანი ენა და
ტლანქი, მაგარი ნისკარტი.

3) საგვარეულო მკაფიობელთა ანუ ჩიტთა (იხ. ნხტ. 53, 57, 58, 59, 60): ბულბული, შაშვი,



ნახტ. 67. ბეღი. სალიან და აქანი და აქანობა
განი ფრინველი; ხელოვანი წელი და წელი
და გამარჯვება.


ბეღურა, მერცხალი, -ამ საგვარეულოს ეკუ-
თვნიან სულ წვრილი მოჭიკვიკე ჩიტები.

4) საგვარეულო ქათამთა (იხ. ნხტ. 61,
62, 63, 64, 68): ქათამი, ინდაური, ხოხობი,
ფარშევანგი, ციცირი მწერი...

5) საგვარეულო წერვძალალთა (იხ. ნხტ.
71, 72, 73): ყარყატი, წერო, ოჩოლ-

ფეხა... უველა ამათ აქვთ საშინელი
მაღალი კანჭები, თითქო ოჩოლფეხაზე
შემდგარანო; თანაც ძალიან გრძელი კი-
სერი და გრძელი ნისკარტი. ღგანან მუ-


ნახატი 68. უარმუანები.




ნახატი 69. სირაქლეები. მაღაინ ღირინ ფეხია; სიმძღვრია
ქარტერ შეღებია; ფრენა სრულებით არ შეუძლიას; სირბილში
არ გაჭენებულ ცხენსა სჯობნის; ბუქბული იძისი მვირდებ ფა-
სობს; აცის ცხელის და უდაბნო ძღვილებში.




ნახევი 70. ყალბერი.



ნახევი 74. უზაოთო.




ნახევი 72. ოჩოდღერქს.



ნახევი 73. წარმა.

დამ ჭაობ აღგილებში ან წყლის ნაპირებში და იჭერენ თევზსა და ქვეწარმავალს.

6) საგვარეულო ფეხსანდიანთა (იხ. ნხტ. 65, 66, 67, 70) იხვი, ბატი, ვარხვი, გედი... ამათ თითებსა და თითებ შუა გადაჭიმული აქვთ თხელი ტყავი და ჩინებული ცურვა იციან.




ნახატი 74. განსკო. იშვებება თითქმის შარტო თევზით; თევზის ჭერა ჭარებ იცის, რაღაც ნისკარტი სამშისოდა აქვთ სწორები მოწყობილი.

7) საგვარეულო სირაჭლემათა (იხ. ნხტ. 69, 71): სირაჭლემა, უფრთო ანუ ყივი-ყივი... ამათ ფრენა სრულიად არ შეუძლიანთ, თუმცა სამაგიეროდ სირბილში ვერავინ შეედრებათ.

კუმ ფეხი გამოყო, მევ ნახირ-ნახირაო.


¶ რთხელ ერთი მენახირე ნახირს
მიერეკებოდა. სოფლის ბოლოს
ჩაჰვდა, თურმე, კუ. კუმ ნახირი
აათვალ - ჩაათვალიერა, ნახა ყველას
ოთხი ფეხი აბია და თქვა: ეს ხო მეც
ოთხი ფეხი მაბია და რატო მე-კი ამათ-



ნახერი 75. კუ.


ში არ ვურევივარო. გამოყო იმანაც
ფეხი და დაედევნათ. შეასწრო მენახი-
რემ კუს თვალი და ერთი გულიანად
გადაიხარხარა. მერე — როდესაც მენახირე
შინ მობრუნდა, ყველას უამბოთ. ის
დღეა და ეს — საწყალი კუ ანდაზად გაა-
კეთეს.

სჩანს, მარტო ოთხი ფეხი არა კმარა, რო ნახირში გარეულიყო. მართლა-და, ოთხი ფეხი მგელსაც-კი აქვს, მაგრამ მგელს ნახირის ახლოც არავინ გააჭარბებს. ნა-



| ნახატი 76. სელაპი მწვანე. |


ხირში სულ სასარგებლო პირუტყვი დაუღის კაცსა. მაშ, რატო აბრეშუმის ჭია, გატი, ფუტკარი და სხვები-კი არ ურევიან



ნახატი 77. ხვათჭი ძნუ ნიანგი. იცის ცხელ ქვეშნებში; ხცხოვა რობს ტბებში და მდინარეებში; იქვებება თევზით, ას იწუნებს გრეთგე ფრინველსა და მაწავალს, თუ წელის პირს მთანეულებს; ხიგაძით ჩამ ხავენდებენ.


ნახირში, ისინიც ხომ სასარგებლონი არიან?

არ ურევიან აი რატომ: ნახირს მიც-
რეკებიან საძოვარზე და რაღ უნდათ სა-
ძოვარი ან ერთს ან მეორეს ან მესამეს?



ნახატი 78. ურჩეული. პატარა სულდგმულია; ცის ცხელ ქვეშ
ნებში; წიბლას და წიბლას შეა ბახდი აქვს გაერული, თათქა
ნამდგილი ფრთები ასხიათ; ტატიდგან ტატიედ, ხიდგინ სე-
ჭედ გადაფრენა შეუძლია; უგნებელია.


გარდა ამისა ფუტკარი უნდა მიფრი-



ნახატი 79. ისაგრი. პატარა სულდგმულია; ცის ცხელ
ქვეშნებში; უგნებელია.

ნავდეს, ბატი თეძოებ დამტვრეულსავით


მილახლახებდეს, აბრეშუმის ჭია მიცოცავ-
დეს და კამბეჩი დარბაისლურად, ღინჯად
მიაბოტებდეს. სად მოვლენ ესენი ერთმა-
ნეთთან? ამისათვის ნახირში ურევენ მხო-
ლოდ ერთი საგვარეულოს ცხოველებს
(რომელი მოდგმისა და რომელი საგვარეუ-



| ნეხეფი 80. ბაზ. დიდი უშედმო გვალი; აცის ცხალ ქვეშნებში.

ლოს ცხოველები არიან ნახირში?). ბატი
სულ სხვა მოდგმას ეკუთვნის (რომელს?),
კამბეჩი სხვას (რომელს?), კუ კიდევ სულ
სხვას.


კუ მაწოვარსავით ცოცხალი არა ჩნდება და ფრინველსავით კვერცხიდგან გამოიჩეკება, მაგრამ კვერცხი მაგარ ნაჭუჭიანი არ იცის. კუ მაწოვარსავით რძით არ იკვებება და არც ფრინველსავით დედა აჭმევს და უწინამძღვრებს.



| ნახატი 81. ასპიტი ანუ ჩემნებური შესძინა გვერდი.

იმის თხელ-ფერფლიანი კვერცხი ფხვიერ მიწაშია გამოხვეული და იქ გამოიჩიკება თუ არა პატარა კუ, თითონვე უნდა ეძიას თავისი სასმელ-საჭმელი. ის არც ბალნით არის შემოსილი, არც ბუმბულით,—


ზემოდგან ცარიელი ტიტველა ტყავი აქვს
გადაჭიმული. ხელი რო შეახო, ცივია:
ძარღვებში ცივი სისხლი უდგა. ამ გვარ



[ნახატი 82. შეკვეთის. დაღი შესძინა გველია; წვერი არ იცნება.]

ცხოველთა მოდგმას ჰქვიან: „მოდგმა ქვე-
წარმავალთა ამ მოდგმას ეკუთვნის შემ-
დეგი ოთხი საგვარეულო:


1) საგვარეულო გუთა (იხ. ნხტ. 75)
 კუ ბევრნაირია, — არის კუ ხმელეთისა,
 არის წყლისა. კუ ყველა ზის ძვლის
 ყუთში, რომელსაც ბაკანიჭჭვიან.



[ნახტი 83. სათვალიანი. დადა ქსაჭახი გმილი; ნებნები აღმა.]

2) საგვა-რეულო სკლიკთა (იხ. ნხტ. 76,
 77, 78, 79). აქვთ ოთხი ფეხი და გრძე-

ლი კუდი. ამ საგვარეულოს ეკუთვნის:



ნახავთ 84. ბაქაცია და იმისი გარღიმენი. ა) პირველი ბ) თავის
ქოშბალა ანუ ახლად გამოჩეკილი ბაქაცია: ერთია გვერდი დან
დასცტული. მეორე ზურგის შენიდგან, გ) თავისურავალის უპარ
ფენები აქვთ გამოსული დ) აქვთ წინა ფენებიც; ე) პატარა ლა
ქმნება პუდი ქ) ნაძლევა დასცტულებული ბაქაცია.

ხელიკი, ჯოჯო, ხვითქი, ურჩხული,

ისავრო. ერთი ხასიათი აქვს ამ უკანასკნელს,—თუ გაჯავრდა, ფერსა ცვლილობს: წამს ნაცრის ფერი ხდება, წამს მომწვანო, წამს შავი, წამს მოყვითანო, წამს მოწითანო.



ნახეტი 85. ტოდი ნემულებრივი. წესლი ცურვა არ შეუძლია; ტენი რქის აბურცული, თოთქო სხურავები აურიათ; ცურნების გამოსცემს; ძღლიან სახის ებლო სულდგმული.

3) საგვარეულო მცურავთა (იხ. ნხტ. 80, 81, 82, 83). არა აქვთ სრულიად ფეხები და მიწაზედ მთელის ტანით დაცურავენ, ამისთვის გველს მცურავს ეძახიან. არიან


შხამიანები: მქუხარა, სათვალიანი, ასპი-
ტი... არიან უშხამონიც: ბოა, გველ-ხოკე-
რა, ანკარა...

4) საგვარეულო მეგართა (იხ. ნხტ. 84,
85). ზოგნიცხოვრობენ წყალში (ბაყაყი).
ზოგნი ხმელზე (გომბიო).

ვეშაპი რა თევზია.

 ლვაში ხშირად აღმოჩნდება ხოლ-
მე ერთნაირი მოძრავი მთა. ამ
მთას ზევიდგან უთვალავი წვრილ-
წვრილი ცხოველი ახვევია, ქვეშიდგან
მრავალგვარი მცენარეულობა აქვს გა-
მოსული: ერთ პირზე ფუფუნებენ ცხო-
ველები, მეორეზე ხარობს მცენარეუ-
ლობა. აღმოჩნდება მთა და ამოუშვებს
შადრევანს; შადრევანი თანდათან შესუს-
ტდება, ბოლოს სრულიად შესწყდება და


მთაც უმალ ზღვაშივე ჩაიყლაპება. გავა ორი-სამი წუთი, მთა ხელახლად აღმოჩნდება, ამოჰეთქავს კვალად შაღრევანს და ისევე ზღვაში ჩაიმალება. ამოდის მხო-



ნახტი 86. გემი.

ლოდ ჰაერისათვის, შეისუნთქავს ჰაერს და წყალშივე ჩაეშვება. იქ, წყალში მყოფობის დროს, სასუნთქავში წყალი ჩაუდგება და როდესაც ხმელი ჰაერის ჩასასუნთქად ამოდის, ჯერ იმ წყალს ამოუშვებს, რაც სასუნთქავში უდგა ხოლმე და ეს გვგონია

ჩვენ შადრევანი. იქნება თქვენ იცნობ-
დეთ კიდეც ამ მთას? ეს ის ვეშაპია, რო-
მელიც ბევრ თქვენგანს თევზი ჰგონია.
მართალია მუდამ წყალში ცხოვრობს,
წყლიღგან რო გამოიყვანო და ხმელეთ-
ზედ დასტოვო მოკვდება, მაგრამ მით
მაინც თევზი-კი არ არის. საღ გაგი-



ნახეტი 87. სელაშზედ ნადირობა. ამის ტერიტორიას აკეთებენ ნალის
თას, რომელშიაც მასწავლებელი ჩაითვალისწინებული სალმე წიგნებს და
შოაფილებენ ზურგზე სკოლაში წარადგინდება.

გონია, რომ თევზი წყლიღგან გამოხ-
ტოდეს—აცა, ჯერ ერთი ჰავულაპო-
ვო. მაშ რა არის? მე მაგას არ გეტყვი?
მე მარტო ნიშნებს ჩამოგითვლი და გამო-

ცნობა შენი საქმეა: ვეშაპსა აქვს ძუძუები, ცოცხალ შვილებს აჩენს და რძითა ჰკვებავს.


კარგი კიდევ, რომ ეს ამოდენა მთასავით



ნახტი 88. თავი მორეისა. ჭყავს სეღაბს; სიგრძით საში საუკუნით აფრიკა; აქებ თავი დაზიანებულია, თითო თითო გრძელი სიგრძე.

ცხოველი ზღვაშია ცხოვრობს, თორე ხმელეთზედ ძალიან საქმე გაუჭირდებოდა. არის ვეშაპი, რომ სიგძით ათ საუკუნზედაც მეტი გამოვა და სიმძიმით ხო 8000 ფუთამდე იწონს. აბა რა იქნებოდა ამისი ხმელეთზედ ცხოვრება! როგორ უნდა ეტა-


რებინა 8000 ფუთი თავისი საკუთარი სიმძიმე? როგორ უნდა დაეძგნო ეს ორასი ხარის ოდენა სულდგმული ოთხ ფეხს? რას უნდა გაეძლო ეს უზარმაზარი 30 სპილოს ტოლა სულიერი? ზღვაში ცხოვ-რება-კი ბევრით უფრო ადვილია. თანაც ყველაფერი თითქო ზღვაში საცხოვრებ-



ნახევრი 89. ჭერები. უგელა თებზედ დადია; სიგრძით ოთხ საუკუნეებიდან მეტი აზრდება; მეტი მეტი სარჩი და გაუმაძლარია; თანაც მძლავრი და საშიში თებზია; სცხოვრობს ზღვებში.

ლადა აქვსო მოწყობილი: ტანი ნავივით მოყვანილი; თავი ტანთან პირდაპირ შეერთებული, თითქო კისერი არც-კი აბიაო; ტყავი რბილი და ლიპი; თითო საუენიანი ფრთა და ბოლოც სიგანით სამი საუენი. ლონეც ამასთანავე ისე-


თი აქვს ბოლოში, რომ ერთი შემოკვრით
შეუძლიან, რაც უნდა დიდი ცხოველი
იყოს, სული გააფრთხობინოს და კარგა
მოზრდილი გემიც წვრილ-წვრილ ნაფო-
ტებად აქციოს. ესრეთ ღონესთან, თუ
ცოტაოდენი მეტი ჭკვაცა ჰქონოდა, თვით
მპყრობელი შეიქნებოდა მთელის ზღვები-



ნახატი 90. ნაქანის თეგზი. ეს გვა დადი თეგზია; ეს გვა გვაგმის ა-
კათ შელაგრია და გამბერდგა; სცხოველის ზღვებში.

სა: ვერც კაცი ყოვლის ხერხის მომგონი
და ვერცა-რა სხვა მტერი ამასთან ვერას
გახდებოდა. მაგრამ ღმერთს იმისთვის ნაკ-
ლები გონება მიუცია, რომ კაცს ადვი-
ლად შესძლებოდა მისი დამორჩილება.
კაცმაც ისარგებლა ამითი და ისე დაიბრი-

ყვა ეს ზღვათა მეფე, რო იმაზედ ნაღი-
რობა უბრალო ხელობად გაიხადა.




|ნახტი 91. ქაშაბლა. ზღვის თევზი; თრიგ თვალი ერთ შესა-
რენა ძეგლის მოქცეული.

კი არ გეგონოს, რო ვეშაპი ობლად
იყოს ზღვაში დატოვებული. სხვაც ბევ-
რია ზღვაში ამის მაგვარი ცხოველი:
მორუი, სელაპი (იხ. ნხტ. 87, 88) სულ
მაწოვარი ცხოველები არიან.

ესენი შეადგენენ ერთ საკუთარ საგვა-
რეულოს და სახელად ეწოდებათ საგვა-
რეულო ზღვიერთა.

სულ სხვაა თევზი. თევზს კანი ქერქლითა
აქვს შემოსილი; ტანი ცივი, რაღგან ამა-
საც ძარღვებში ცივი სისხლი უდგა; თევ-


ზისთვის საკმარისია წყალში გახსნილი ჰაერი, ამისთვის თევზსა აქვს ლაუფები; თევზი ჰყრის ქვირითს (ხიზილალას) და იმ ქვირითიდგან თავისთავად გამოდიან ჭიჭინა თევზები. თევზნი შეადგენენ მეოთხე მოდგმას ცხოველებისას — მოდგმა თევზთა.



| ნახატი 92. ცხენის თავა. პატარა თევზია; აცის ზღვებში. |

თევზთა მოდგმა ძლიერ დიდია. ეს მოდგმაც, აგრეთვე როგორც სხვა მოდგმა ცხოველებისა, შესდგება რამდენიმე საგვარეულოთაგან და თითო საგვარეულოც რამდენიმე ნათესაობათაგან. მე აქ იმათი ჩამოთვლა ძლიერ შორს წამიყვანს და თავსაც მოგაბეზრებთ. მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თევზი ძლიერ ბევრგვარია, როგორც სანახაობით და მოყვანილობით, ისე სიღიღ-პატარავით და ხასიათით. (იხ.

ნხტ. 89, 90, 94, 95). არის ასეთი, რომ
შეხედულობით ცხენის თავსა ჰგავს (იხ.
ნხტ. 92); არის ლავაშივით ბრტყელი და




| ნახტ. 93. გვალთეგზ. |

თანაც ორივე თვალი ერთ მხარეს უსხედს
(იხ. ნხტ. 91); არის ისეთიც, რომ სწორედ
გველს მოგაგონებს (იხ. ნხტ. 93).

ხერხემლიანი ყხოველები.




რ გამოგიხრავს თავის დღეში ქათმის
ან ინდაურის კისერი? თუ გამოგიხ-
რავს, ალბად შეატყობდი კიდეც, რო
მთელი კისერი სულ წვრილ-წვრილი, ერთნა-
ირი და ტოლ-ტოლი ძვლებიდგან არის შემ-
დგარი. შუაში ეს ძვლები ყველა დახვრეტი-



| ნახატი 94. ზუთხი ანუ თაჩთა. |

ლია და ისეა ერთი მეორეზედ მიწყობილი,
რომ შუაში თანასწორი სიგრძის ხვრელი
მისდევს. ეს ხვრელი სავსეა ტვინით. ასეთი
ძვლები მისდევს სულ ბოლომდე და
ასეთივე ტვინით გამოჭედილი ხვრელი
აქვს შუაში ჩაყოლებული. ამ ძვლებს ჰქვიან
მძივები: კისრის მძივი, წელის მძივი... ეს
ასხმული მძივები კისრიდგან დაწყობილი

ვიღრე კუდუსუნამდე შეადგენენ ერთ
მთლიან სვეტს, ამ სვეტს ხერხემალს ვე-
ძახით. ხერხემალი აქვს ჭათამს, ინდაურს,
ბატს, ერთის სიტყვით, ფრინველთა მოდგ-



| ნახატი 95. ოუგზი შემანაბეჭდი.

მას. აქვს აგრეთვე მაწოვართა ქვეწარმა-
ვალთა და თევზთა მოდგმათაცა. აქვსთ აგ-
რეთვე ყველა ამათ წითელი სისხლი და
თავის ტვინი. სჩანს, ამ ოთხივე მოდგმას
ცოტაოდენი რამ მსგავსება კიდევ შეპრჩე-
ნიათ, შორეული ნათესაობა ჰქონიათ.

ამისთვის ჩვენ ამ ოთხივე მოდგმას ვე-
ძახით ხერხემლიან ცხოველებს. არის კი-
დევ ბევრი, ძალიან ბევრი ცხოველი,

რომლებსაც არა აქვთ ხერხემალი, თავის
ტვინი და წითელი სისხლი, მაგრამ ამათ-
ზე შემდეგს წიგნში მოვილაპარაკოთ.

37
5949

37
37
37

ვლ. აღნიაშვილის მიერ
ხელმძღვანელ

- | | | |
|-------|---|-------|
| 1) | „ან“, წერა-კითხვა | 10 კ. |
| 2) | „ბან“, წვრილი ხალხური ლექსები . | 10 კ. |
| 3) | „გან“, წვრილი ხალხური ამბები . . | 10 კ. |
| 4) | „დონ“, წვრილი ხალხური ამბებივე . | 10 კ. |
| 5) | „ენ“, გასართობი. | 10 კ. |
| 6) | „ვინ“, პატარა მინერალოგია . . . | 15 კ. |
| 7) | „ზენ“, პატარა ბოტანიკა. . . . | 20 კ. |
| 8) | „თან“, პატარა ზოოლოგია | 20 კ. |
| <hr/> | | |
| 9) | უბის ლექსიკონი | 30 კ. |
| 10) | ხალხური ზღაპრები წიგნი I, გამოცემა „ჭართველთა ამხანაგობისა“ . . . | 30 კ. |
| 11) | „Первый шагъ“ въ изученіи рус-
скаго языка, გამოცემა „ცენტРАЛУ-
РНО წიგნის მაღაზიისა“ | 40 კ. |

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა:
„ინ“, „კან“, „ლას“.

სამ-გამო.